ოქმი:ო05. 3724110001
თარიღი:19/04/2024

ოქმი N 3
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2024 წელი, 18 აპრილი
ქ.ოზურგეთი

13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: პ. სალუქვაძე, ბ. კილაძე, გ. კილაძე, ნ. მახარაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.საქართველოს გოეთეს ინსტიტუტსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ.
მომხსენებელი: პაატა კიღურაძე
თანამომხსენებელი: ლალი სიჭინავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკიტხტა და ეთიკის კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.
მომხსენებელი: პაატა კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის საკითხზე, უფრო ვრცელი ინფორმაცია საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასა და მის მნიშვნელობაზე მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებაში ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. სიჭინავამ. მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხი განსახილველად და დასკვნისა და უფრო ვრცელი ინფორმაციის წარმოსადგენად მორიგი საკრებულოს სხდომისათვის დაეწეროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას(პ. კიღურაძე), ამასთან კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ კომისიამ წლის დასაწყისში შეიმუშავა და საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა წლიური სამუშაო გეგმა, მაგრამ, USID -ის რეკომენდაციების გატვალისწინებით, აუცილებელი გახდა გეგმის ხელახალი გადამუშავება და ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების უფრო დაწვრილებით განსაზღვრა, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო კონკრეტული სამოქმედო გეგმა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სამოქმედო გეგმის ბიუროს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის

მიზნით.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი